ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **128-12822136184**
თარიღი: **16/05/2022**

ადრესატი: ნაზიბროლა რეხვიაშვილი
პირადი ნომერი: 62011003485
მისამართი: წერეთლის ქ.6

ქალბატონო ნაზიბროლა,

თქვენი განცხადების (02.05.2022წ, №19/12822122125-128) პასუხად, რომლითაც მოითხოვთ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სოფლებში პირველადი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრების შესახებ ინფორმაციას გაცნობებთ, რომ მუნიციპალიტეტის თერთმეტ ადმინისტრაციულ ერთეულში სხვადასვა ლოკაციაზე ფუნქციონირებს 14 (თოთხმეტი) პირველადი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი, სადაც დასაქმებულია 31 ექიმი და 31 მედდა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2021 წელს განხორციელდა სოფელ ახალსოფლის პჯდ ცენრის დემონტაჟი და ადგილზე აშენდა ახალი ამბულატორია. სოფელ სალიბაურსა და ჭარნალში აშენდა ორი ახალი ამბულატორია, აღნიშნული შენობები აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. დაგეგმილია სოფელ სარფში არსებული პჯდ ცენტრის რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტის მხრიდან საჭიროების შემთხვევაში არსებულ პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში ეტაპობრივად განხორციელდება სარეაბილიტაციო სამუშაოები.

რეაბილიტაციას საჭიროებს ორთაბათუმის, აჭარისწყლის, თხილნარის და ფერია-სამების პჯდ ცენტრები.

აქვე დამატებით გაცნობებთ, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლების სხვადასხვა ლოკაციებზე ფუნქციონირებს 31 სოფლის სამედიცინო პუნქტი სადაც დასაქმებულია 47 მედდა.

დანართის სახით მოგაწვდით პჯდ ცენტრების ჩამონათვალს.

პატივისცემით,

ზაზა დიასამიძე

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი